პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

28 აპრილი ოთხშაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 98 (15008)

დღეს გაიხსნება საქართველოს საბჭოთა მნერლების VII ყრილობა

მხურვალე სალამი ყრილობის დელეგატებს!

ერთსულოვნება, შეკავშირება

დაიწყო დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

27 აპრილს ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში ერთსულოვნებისა და კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო საბჭოთა სალბის შეკავშირების ატმოსფეროში დაიწყო წინასაარჩევნო კრებები. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრები ახახელებენ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს. ისევე როგორც წინათ, კომუნისტური პარტია ამ არჩევნებში გამოდის უპარტიოებთან ერთიანი ბლოკით.

ბოსკოვი

მაღალი აქტივობით წარიმართა წინასაარჩევნო კრებები მოსკოვში. რუსეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად უდიდესი აღმავლობის ვითარებაში მშრომელებმა ერთხმად დასახელეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი.

წინასაარჩევნო კრებებზე რუსეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელეს აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვიქტორ ვასილის-ძე გრიშინი.

თბილისი

დიდი აღმავლობით ჩაიარა თბილისის ქარხანა „ელექტროაგტომატის“ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელებას.

წინასაარჩევნო კრება გახსნა პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ცერცვაძემ.

მან სიტყვა მისცა ზეინკალ-დამამზადებელს, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელს ა. მელაძეს.

საბჭოთა ხალხმა, თქვა მან, მხურვალედ მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი, რომელიც დასახა კომუნიზმის მშენებლობის გზით ჩვენი ქვეყნის წინსვლის გრანდიოზული პროგრამა. წიგნი არჩევნების შედეგე გაგზავნილი ოთხი წლის მანძილზე საქართველოს მშრომელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მოიპოვეს დიდი წარსატანი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. ეს არის მამაცური კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ბრძნული პოლიტიკის შედეგი.

ორატორს შემოაქვს წინადადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის 300 არაგველის № 39 სარჩევნო ოლქში დასახელონ პარტიისა და ხალხის ერთგული შვილი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი.

ამ წინადადებას კრების მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ. ტრიბუნაზეა ამაღლებული ზეინკალი ვ. გიორგობაია. მას მხურვალედ დაუჭირა მხარი წინადადებას ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის დასახელების შესახებ და თავის მხრივ ამავე ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დასახელა ქარხანა „ელექტროავტომატის“ კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ბიორი ბალაბანოვის-ძე ფულია. ორატორმა თქვა, რომ იგი არის საწარმოს ერთ-ერთი საუკეთესო მუშაკი. მაღალკვალიფიკაციის მეაზწყობე ზეინკალი. თავის საწარმოო დავალებებს სისტემატურად 135-145 პროცენტით ასრულებს. ვ. ვ. ფულაია აქტიურ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა როგორც საქართველოს სსრ მეზეიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატიც.

წინადადებას, რომ ლ. ი. ბრეჟნევი და ვ. ვ. ფულაია დასახელონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად — ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ტექნიკური კონტროლის განყოფილების კონტროლიორმა ი. ალელეშვილმა, ამწყობმა ზეინკალმა ე. ზეციძემ, ქარხნის დირექტორმა ო. ნიკურაძემ.

კრების მონაწილეებმა ერთხმად დაადგინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად თბილისის 300 არაგველის № 39 საარჩევნო ოლქში დასახელონ ლ. ი. ბრეჟნევი და ვ. ვ. ფულაია.

დიდი აღფრთოვანებით ჩაიარა თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორთა, მასწავლებელთა და სტუდენტთა წინასაარჩევნო კრებამ.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის რექტორმა დოცენტმა ვ. ეოჩორაძემ.

პირველმა სიტყვა აიღო პარტიის ისტორიის კათედრის გაგეგმ ვ. მაჭავარიანმა. მან აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით გამოწვეული დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის

(დასასრული 3ე-2 გვ.).

ᲛᲔᲣᲦᲐᲔ ᲧᲐᲚᲮᲗᲐᲜ, ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲐᲓᲘ ᲕᲘᲡᲘᲐ

ᲑᲠᲘᲒᲝᲚ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ,
საქართველოს მწერალთა კავშირის ბამგეზრის პირველი მდივანი.

ქართველი მწერლები თავიანთ მეზეიდე ყრილობაზე იკრიბებიან დიდი მნიშვნელობის ისტორიულ დღეებში.

სულ ახლახან თავისი მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეოთხე ყრილობამ. ყრილობამ დასახა კომუნიზმის შემდგომი მშენებლობის დიდი პროგრამა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტების ამ დიდ ფორუმს წინ უძღოდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ოცდამეოთხე ყრილობა. კიდევ ცოტაც, და ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად ზეიმით აღნიშნავს თავის ეროვნულ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის 50 წლისთავს.

ახალი ქართული მწერლობა საბჭოთა ეპოქის პირველშია. იგი ორმოცდაათი წლის მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა მშრომელ ხალხს და მისი შთაგონების წყარო იყო ის დიდი წარმატებები, რომლებსაც ჩვენი ხალხი აღწევდა სოციალიზმის მშენებლობის ყველა უბანზე.

საბჭოთა წყობილებამ შექმნა ყველა პირობა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის აყვავებისათვის. ქართულმა მწერლობამ, რომელსაც დიდი და სახელოვანი ტრადიციები აქვს, ახალი დიდი გამარჯვებები მოიპოვა. იგი როგორც ყოველთვის ამ ნახევარსაუკუნოვან გზაზეც იყო მშრომელი ერის ლხინისა და ჭირის მოზიარე. არ ყოფილა ჩვენი ერის ცხოვრებაში ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც მართლად და თავისებურად არ ეასახოს ქართულ მწერლობას.

ამიტომ უწოდა ჩვენმა ხალხმა ქართულ საბჭოთა მწერლობას თავისი ცხოვრების მხატვრული მატიანე.

ჩვენი მწერლობა იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა პარტიის მუდმივი ზრუნვითა და დახმარებით. იგი ერთგული იყო ლენინის უკვდავი იდეებისა და დიდ სამსახურს უწევდა მშობლიურ პარტიას მასების კომუნისტურად აღზრდის საქმეში.

ქართული მწერლობის მიღწევები ამ ნახევარსაუკუნოვან გზაზე საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებულია.

ჩვენს მწერლობას განვლილ, საინგარიშო ხუთწლეულშიც ბევრი წარმატება მქონდა, მაგრამ ჩვენს მუშაობას ახლდა ნაკლიც და ხარვეზებიც.

სწორედ ამ წარმატებებზე და ნაკლოვანებებს დაძლევის გზებზე იქნება ჩვენს მეზეიდე ყრილობას მსჯელობა.

ყრილობა შეაჯამებს ამ ხუთი წლის მანძილზე გაწეული მთავონებული მუშაობის შედეგებს და დასახავს ჩვენი მწერლობის შემდგომი აღმავლობის გზებს.

ვუსურვოთ ქართველ მწერალთა ყრილობას ყოფილიყოს მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში და მნიშვნელოვანი კვალი დაეტოვებინოს ჩვენი ლიტერატურის განვითარებაში.

ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲐᲡ

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲨᲐᲜᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

გაზაფხულია საქართველოში. ათასფერად აყვავებულა ჩვენი სამშობლო, რომელსაც ოდითგან ედგა ადარებენ. ბუნების გამოღვიძების ამ დიდებულ დღეებში ვეკრიბებით ჩვენ, მწერლები, ყრილობაზე. მე მიხდა მივესალმო ჩემს თანამოკალმეებს — ქართული ლიტერატურის შესანიშნავ წარმომადგენლებს და ვუსურვო დიდი შემოქმედებითი აღმავლობით, მაღალ დონეზე წარიმართოთო ეს მნიშვნელოვანი ფორუმი. ახალგაზრდა მწერლებსა და პოეტებს, ვისი ნამოღვაწარი ჯაშნიკი ავიღ ახლა ვიგემეთ, გემო და ფერი, შნო და ლაბათი შეიგრძეთ, ქართული სიტყვის ჯავარი მოვუწოინეთ, ეკუთვნოდეს ჩვენს წინაპრების მიერ გაკვალული გზით, სვიბიდნერი გზით.

სულ მალე ჩვენი ხალხი ეზეიმების საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის 50 წლისთავს, როცა ამ სახელოვან ნახევარსაუკუნოვან მონაკვეთს თვალს გადავავლებთ, სიამაყით ჩვენება ჯიუნი. როგორ ვიზარდეთ, როგორ დავვაკაცდეთ! ფრთა გაშალა ჩვენმა დიდმა ქართულმა ლიტერატურამ. რამდენი მეგობარი და თაყვანისმცემელი შეიძინა ქართულმა ლექსმა, ქართულმა პროზამ. წინ კიდევ უფრო ნათელი მომავალია. გაუმარჯოს ჩვენს წინსვლას, სწრაფვას და მზეგრძელობას!

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ

ᲓᲔᲛᲜᲐ ᲨᲕᲜᲒᲔᲚᲐᲘᲐ,
მწერალი-აკადემიკოსი.

ქართველი მწერლები მღელვარებით ველოდნენ ჩვენს ყრილობას, სადაც შრავალი საჭირბოროტო საკითხი უნდა დაისვას და სასურველია, გადაიჭრაც კიდეც. ამ დიდ ფორუმზე ლაპარაკი იქნება ამ პრობლემების შესახებ, რომლებიც ქართული ლიტერატურის წინაშე დგას. საქმიანი სიტყვა-ბაასი, შემოქმედებითი ეძებნი და აზრთა ურთიერთგაზიარება დიდ სარგებლობას მოგვიტანს. ყრილობაზე გვესტუმრებიან ჩვენი მეგობრები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ წინა ყრილობიდან დღემდე ბევრი საყურადღებო ნაწარმოები შეიქმნა ქართულ ლიტერატურაში, როგორც პროზაში, ისე პოეზიაში. ნოყიერია ქართული შემოქმედებითი აზრის ნიადაგი, დაუშრეტელია მისი ნიჭიერების სათავე. ბევრი ახალგაზრდა ტალანტი გამოჩნდა ამ პერიოდში ჩვენი ლიტერატურის ასპარეზზე... ჩვენ, უფროსი თაობის წარმომადგენლებს, ყველაფერი ეს კანონიერი სიამაყის გრძნობით გვაყვსებს, გვახარებს.

მწობლიურმა ქართულმა ლიტერატურამ დაიმკვიდრა თავისი კუთვნილი საპატიო ადგილი მსოფლიო კულტურის საგანძურში. ალბათ უკვე აღარ მოიძებნება ქვეყანა, სადაც არ ესმოდეთ რუსთაველის სიდიადე. მისი ლექსის მოძღვნილობას გაეცნენ ევროპაში, ამერიკაში, აზიაში. ასევე შეიფასეს ესენინი ნიკოლოზ ბარათაშვილი, ფაფა-ფშაველა... სულ მალე კიდევ უფრო მისაწვდომი იქნება ყველასათვის გურამიშვილი, აკაკი, ილია, გალაკტიონი, თანამედროვე ქართველი მწერლები. ბევრი მთარგმნის წიგნები ჯერ უკვე ითარგმნა სხვადასხვა ენაზე.

შემოქმედებით მუშაობაში ყველაზე ძალას მმატებს ჩვენი მშობლიური ერისა და მისი ხალხის დიდი სიყვარული.

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ

ᲓᲔᲛᲜᲐ ᲨᲕᲜᲒᲔᲚᲐᲘᲐ,
მწერალი-აკადემიკოსი.

მწობლიურმა ქართულმა ლიტერატურამ დაიმკვიდრა თავისი კუთვნილი საპატიო ადგილი მსოფლიო კულტურის საგანძურში. ალბათ უკვე აღარ მოიძებნება ქვეყანა, სადაც არ ესმოდეთ რუსთაველის სიდიადე. მისი ლექსის მოძღვნილობას გაეცნენ ევროპაში, ამერიკაში, აზიაში. ასევე შეიფასეს ესენინი ნიკოლოზ ბარათაშვილი, ფაფა-ფშაველა... სულ მალე კიდევ უფრო მისაწვდომი იქნება ყველასათვის გურამიშვილი, აკაკი, ილია, გალაკტიონი, თანამედროვე ქართველი მწერლები. ბევრი მთარგმნის წიგნები ჯერ უკვე ითარგმნა სხვადასხვა ენაზე.

შემოქმედებით მუშაობაში ყველაზე ძალას მმატებს ჩვენი მშობლიური ერისა და მისი ხალხის დიდი სიყვარული.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ

ᲩᲕᲔᲜ, მეცნიერები, კონსტრუქტორები, ინჟინერები, ტექნიკოსები, მუშები და კოსმონავტები, რომლებიც ვმონაწილეობდით „სოიუზ-10“ კოსმოსური ხომალდისა და ორბიტული სამეცნიერო სადგურის „სალუტის“ შექმნასა და გაფრენის განხორციელებაში, უღრმეს მადლობას ეუხდით სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივი ზრუნვისათვის, ჩვენი მუშაობისადმი უყურადღებისა და მისალმების გულთბილი სიტყვებისათვის.

სიტყვას ვაძლევთ მშობლიურ კომუნისტურ პარტიისა და საბჭოთა მთავრობას, რომ ჩვენ, სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შთაგონებულნი, მთელ ძალღონესა და ცოდნას მოვახმართ კოსმოსური სივრცის შემდგომი ათვისების პროგრამის წარმატებით შესრულებას საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲑᲐ Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘ�გᲘᲜᲗᲐᲜ

26 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო იაპონიის თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე, პარლამენტის დეპუტატი მ. აკაგი მისი თხოვნით.

საუბრის დროს ა. ნ. კოსიგინი და მ. აკაგი შეეხნენ საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის ორივე მხარისათვის საინტერესო ზოგიერთ საკითხს.

მ. აკაგიმ ა. ნ. კოსიგინს გადასცა იაპონიის პრემიერ-მინისტრის ე. სატოს წერილი.

საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის თავზის მეურნეობის მინისტრი ა. ა. ეშოკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მორიგე ელი აღმოსავლეთის მეორე განყოფილების გამგე ა. ფ. ზასიადკო. იაპონიის მხრივ — იაპონიის ელჩი სსრ კავშირში ჯ. ნიოიეკი. (საკდესი).

ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲕᲚᲔᲜᲣᲛᲘ

26 აპრილს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი, რომელიც მიეძღვნა პროფკავშირთა ამოცანების სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

ძოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ალ. ა. ნ. შელეპინმა.

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმმა მთლიანად და სავსებით მოიწონა პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სასხვათაშორისო მოხსენებაში მოცემული წინადადებები და დასკვნები, ყრილობის დირექტივები ხუთწლიანი გეგმის შესახებ და მიიღო ისინი გასუხერი ხელმძღვანელობისა და შესრულებისათვის, როგორც პროფკავშირთა საქმიანობის საბჭოთა პროგრამა.

პლენუმის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

პლენუმმა განიხილა ოგრეთვე ორგანიზაციული საკითხები. სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მდივნისა და წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლეს ტ. ხ. ნიკოლაევა. პლენუმმა საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მდივნად და წევრად აირჩია ლ. ა. ზემლიანიკოვა.

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲯᲔᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲐᲚᲐᲛᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ IV ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

27 აპრილს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, მუშაობა დაიწყო სრულიად საკავშირო ალაკ ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმმა. დღის წესრიგში ამოდგა „სკკპ XXIV ყრილობის შედეგები და კომკავშირის ამოცანები მის გადაწყვეტილებათა შესრულებაში“.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, მოკავშირე რესპუბლიკათა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტების სრულიად საკავშირო ალკკ სამხარეო კომიტეტებისა და საოლქო კომიტეტების მდივნები.

პლენუმზე მოხსენება გააკეთა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ზ. ტიაჟელნიკოვმა. (საკდესი).

ᲣᲦᲐᲢᲐᲙᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ

საქართველოს მრეწველობამ ვადამდე შეასრულა ოთხი თვის გეგმა

სკკპ ისტორიული XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებმა ახალი პატრიოტული აღმავლობა გამოიწვია საქართველოს მრეწველობის მშრომელთა შორის. რესპუბლიკის ქარხნებში, ფაბრიკებში, ყველა საწარმოში ფართოდ გაიშალა ბრძოლა პარტიის დიდებული პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის აღსანიშნავ პროფილის მრეწველობის დამკვრელურ ვაბტზე რესპუბლიკის მრეწველობის საწარმოთა ძალებმა, ინჟინერ-ტექნიკოსთა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა დიდი წარმატებები მოიპოვეს ახალი ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის გეგმა მიმდინარე წლის ძირველი ოთხი თვის განმავლობაში საქართველოს სსრ რესპუბლიკის მრეწველობამ ვადამდე, 27 აპრილს შეასრულა. გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი, მნიშვნელოვანი შეუმჩნევლად წარმოების ეფექტიანობის ზრდისათვის, მეცნიერულ-ტექნიკურ საფუძველზე მართვის სისტემის სრულყოფისათვის.

აპრილის ბოლომდე გეგმის გადამეტებით ამოღებული იქნება ათასობით ტონა მანგანუმი და ქვანახშირი, წარმოებული იქნება რამდენიმე ათეული მილიონი მანეთის პროდუქცია, ძაძ შორის ავტომობილები, ჩარხები, საშუალო მასალა, ქსოვილები, ფეხსაცმელი და სხვ.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ობილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებელი ქარხნის, ქალაქ ოურის მანგანუმის ტრესტის, კომბინატ „საქართველოს“, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, ბათუმის მანგანუმსამშენებელი ქარხნის, თბილისის მაუდ-ქამელოს კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“, გორის ბამბეულეთა კომბინატის, თბილისის № 2 თაბაშირის ფაბრიკისა და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა აქტიური მოსაზრებლობა მიიღეს სრულიად საკავშირო კომუნისტურ შაბათობაში 17 აპრილს. რესპუბლიკის მეწარმეებმა გეგმის გადამეტებით ამოიღეს 4.500 ტონა ქვანახშირი, რუსთავი ქიმიკოსებმა აწარმოეს 100 ტონა მინერალური სასუქი, თბილისის ჩარხსამშენებლებმა გამოუშვეს 10 ჩარხი და ხუთწლედის ახალგაზრდა გადარიცხეს ოთხი ათასი მანეთი. ავტოტრანსპორტელები მუშაობდნენ დაზოგილი ბენზინით. ამ დღეს აჩვენეს მაღალნაყოფიერი შრომის ბევრი მაგალითი, ჩვენს ქვეყანას მისცეს დიდძალი ზეგეგმითი პროდუქცია.

რესპუბლიკის მრეწველობის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ვადამდე შეასრულონ ხუთწლედის პირველი წლის დავალებანი და ღირსეული წვლილი შეიტანონ კომუნისტური მშენებლობის საქმეში. (საკდესი).

თბილისის მრეწველობამ შეასრულა ოთხი თვის გეგმა

თბილისის სამრეწველო საწარმოთა მშრომელებმა, რომლებიც ადფრთოვანა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებმა და იბრძვიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის, ვადამდე, 27 აპრილს შეასრულეს პროდუქციის გამოშვების ძირძილნაოვ წლის ოთხი თვის გეგმა.

აპრილის დამლეგამდე სახელმწიფო მიიღეს დამატებით ბევრ რამდენიმე მილიონი მანეთის ძირეს ბრეწველობისა და სასაესო მოხმარების საქონლის მხა პროდუქციის.

სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან კიროვის სახელობის ჩარხთაშენებელი ქარხანის, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანი, ფოლად-თუჯსადნობელი ქარხნის, სტალინის სახელობის ელექტროგადამცემელთა ქარხნის, „თბილელექტროსაწყოს“, „მაგნეტოფონის“, „პლასტმასის“, ლენინის სახელობის ელექტრომავლებელთა ქარხნის, ავტალის ძირის ქარხნის, ოორკონიკოის სახელოვნის და 26 კომისრის სახელოვნის მანქანათსაშენებელო ქარხნების, № 1 და № 2 ავტოსარემონტო ქარხნების, № 1 და № 4 ფეხსაცმელეულის ქარხნების, № 1 და № 3 ღვინის ქარხნების, კონიაკის ქარხნის, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, მაუდ-ქამელოს კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“, რძის კომბინატის, № 1 და № 2 თამბაქოს ფაბრიკების, ჩაის საწონი, № 1 და № 6 სამკერვალო ფაბრიკების, თბილისის მეტროპოლიტენის, თბილისის სამოქალაქო აეროფლოტის ქვეგანაყოფის, ამერკანაკანალის რკინიგზის, № 1 და № 5 ავტოსატრანსპორტო საწარმოების კოლექტივები და სხვ.

ქალაქის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ქართველი ხალხის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი მოვლენა აღნიშნონ ახალი შრომითი მიღწევებით. (საკდესი).

ფოტო ვლ. ბინზბურგისა.

ხუთწლედის კარგი დასაწყისი

საქართველოს სსრ მრეწველობის 1971 წლის პირველი კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა, გააჩაღეს რა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად, ახალი საწარმოო წარმატებანი მოიპოვეს. სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის 1971 წლის პირველი კვარტალის გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებულია 104,5 პროცენტით.

გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზარდა 9,3 პროცენტით, ხოლო საშუალო სადღეღამისო წარმოება (1971 წლის იანვარში იყო ერთი სამუშაო დღით ნაკლები, ვიდრე გასული წლის იანვარში) — 10,3 პროცენტით.

შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით გაიზარდა 8,4 პროცენტით, მოგება შესადარ ფასებში გადიდდა 3 პროცენტით.

რესპუბლიკის მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების პროდუქცია 1970 წლის პირველ კვარტალთან შედარებით გადიდდა:

ელექტროენერგია	8 პროცენტით
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	9 „
ხე-ტყის, ხისდამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა	9 „
საშენ მასალათა მრეწველობა	7 „
მსუბუქი მრეწველობა	3 „
მათ შორის საფეიქრო	5 „
კვების მრეწველობა	17 „
მათ შორის:	
ყველ-კარაქისა	13 „
ღვინისა	22 „
ჩაისა	14 „
თამბაქოსი	15 „
საკონსერვო	37 „

პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებას და წარმოების ზრდის ტემპებს ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	1971 წლის პირველი კვარტალის გეგმის შესრულების პროცენტი	1971 წლის პირველი კვარტალი პროცენტებით 1970 წლის პირველი კვარტალთან შედარებით
ხე-ტყისა და ხისდამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	104	106
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	103	103
კვების მრეწველობის სამინისტრო	106	118
ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის საელმწიფო კომიტეტი	111	108
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	119	123
დამზადების სამინისტრო	110	104
მშენებლობის სამინისტრო	95	105
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	93	108
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	104	108

პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებამ და სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპებმა ქალაქ თბილისში, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში შეადგინა:

	1971 წლის პირველი კვარტალის გეგმის შესრულების პროცენტი	1971 წლის პირველი კვარტალი პროცენტებით 1970 წლის პირველ კვარტალთან შედარებით
ქ. თბილისი	103	105
აფხაზეთის ასსრ	108	106
აჭარის ასსრ	106	101
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	107	109

ცალკეულ სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოებამ ნატურალური გამოხატულებით მთლიანად რესპუბლიკაში შეადგინა:

	წარმოებულია 1971 წლის პირველ კვარტალში	1971 წლის პირველი კვარტალი 1970 წლის პირველ კვარტალთან შედარებით
ელექტროენერგია (საერთო ხარჯვა ელექტროსადგურები და ბლოკსადგურები) — მილიონი კილოვატ-საათი	2483	107
ქვანახშირი — ათასი ტონა	581	103
მარგანეცის მადანი — ათასი ტონა	308	81
თუჯი — ათასი ტონა	176	94
ფოლადი — ათასი ტონა	348	96
ნაგლინი სულ — ათასი ტონა	287	97
მათ შორის მზა ნაგლინი — ათასი ტონა	287	97
ფოლადის მილები: მილიონი მეტრი	6,3	101
ათასი ტონა	118	98
ელესი მოლიანად — ათასი ტონა	176	106
მინერალური სასუქები (პირობით ერთეულებში) — ათასი ტონა	155	123
სატვირთო ავტომობილები — ცალი	3730	110
ლითონსაჭრელი ჩარხები — ცალი	894	106
სამაგისტრალო ელმავლები — ცალი	23	96
ცემენტი — ათასი ტონა	370	105
შიფერი — მილიონი პირობითი ფილა	15	95
ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები — ათასი კუბური მეტრი	230	105
ქაღალდი — ათასი ტონა	8,8	98
აგური — მილიონი მანეთისა	9,5	108
პიანინოები — ცალი	814	99,4
ბამბის ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი	11,4	90
შალის ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი	2,0	110
აბრეშუმის ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი	9,3	117
წინდები — მილიონი წყვილი	4,4	99,2
ტრიკოტაჟის საცვალი — მილიონი ცალი	4,9	98
ზედა ტრიკოტაჟი — მილიონი ცალი	2,7	123
ტყავის ფეხსაცმელი — მილიონი წყვილი	3,4	93
ხორცი* — ათასი ტონა	11,5	129
ყველი* — ათასი ტონა	2,5	114
კონსერვები — მილიონი პირობითი ქილა	26,2	142
მარგარინის ნაწარმი — ათასი ტონა	6,0	161
კარაქი* — ტონა	148	103
მცენარეული ზეთი — ათასი ტონა	8,9	136
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადადანგრეშებით — ათასი ტონა	26,3	103
ნატურალური, ხარისხოვანი, დაფასოებული ჩაი — ათასი ტონა	5	117
ყურძნის ღვინო* — ათასი დეკალიტრი	3305	111
შამპანური — ათასი ბოთლი	2571	103
კაპიტოსი და სიგარეტი — მილიარდი ცალი	4,2	112

* კოლმეურნეობათა წარმოებისა და მოსახლეობის შინწარმოების გარეშე.

1970 წლის პირველ კვარტალთან შედარებით წარმოებულია მეტი: ელექტროენერგია — 173 მილიონი კილოვატ-საათი, ქვანახშირი — 15 ათასი ტონა, მინერალური სასუქები — 28,5 ათასი ტონა, ლითონსაჭრელი ჩარხები — 47 ცალი, სატვირთო ავტომობილები — 350 ცალი, ცემენტი — 17 ათასი ტონა, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები — 10 ათასი კუბური მეტრი.

სასტალო მოხმარების საძონლის წარმოება 1971 წლის პირველ კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზრდილა: ბალისა და აბრეშუმის ქსოვილებისა — 1,2 მილიონი კვადრატული მეტრით, ზედა ტრიკოტაჟისა — 503 ათასი ცალით, ხორცისა — 2,5 ათასი ტონით, კონსერვებისა — 7,7 მილიონი პირობითი ქილით, ყველისა — 731 ათასი მანეთით.

თუმცა მთლიანად მრეწველობის ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით გეგმა შესრულდა, მაგრამ ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოყენებული წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების რეზერვები, ცალკეული საწარმოები ვერ ასრულებენ დაწესებულ გეგმებს.

სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო, საკონსტრუქტორო ორგანიზაციებმა და სამრეწველო საწარმოებმა მუშაობდნენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გადასაჭრელად, სამრეწველო პროდუქციის ახალ სახეობათა გამოშვების, ათვისებაზე, წარმოებაში ნერგავდნენ ახალ ტექნოლოგიურ პროცესებს, საწარმოო პროცესების კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას.

წარმატებით რომ შეასრულეს კვარტალური გეგმა, მრეწველობის მუშაკებმა დიდი წვლილი შეიტანეს მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის შესრულებაში.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა სხდომა XXIV ყრილობის დირექტივების საფუძველზე და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესასრულებლად განიხილა თავის სხდომაზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებული საკითხები და დაადგინა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის პროექტის შემუშავების წესი და ვადები.

საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები გაფლებული არიან შეიმუშაონ და წარადგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში ხუთწლიანი გეგმის პროექტები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაევალა გაანიხილოს ეს პროექტები და სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების საფუძველზე შეადგინოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის პროექტი, გაანაწილოს ხუთწლედის წლების, სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და ქალაქ თბილისის მიხედვით და მომდინარე წლის 1 ივნისისათვის წარუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა ხუთწლიანი გეგმის პროექტების შემუშავებისას უნდა გაანიხილონ წინადადებანი, რომლებიც წამოაყენეს სკკპ XXIV ყრილობაზე, საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობაზე, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის, ქალაქებისა და რაიონების პარტიულ კონფერენციებზე, პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებსა და მშრომელთა კრებებზე, აგრეთვე წინადადებანი, რომლებიც შეიტანეს მუშებმა, კოლმეურნეებმა, სპეციალისტებმა და მეცნიერებმა, და გაითვალისწინონ ისინი გეგმების პროექტებში.

ხუთწლიანი გეგმის პროექტში უნდა აისახოს ისეთი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას მეცნიერებისა და ტექნიკის ყველაზე პერსპექტიული დარგებში კვლევის ყოველნაირად განვითარების გზით, საპროექტო-საძიებო-კონსტრუქტორიულ ბიუროებისა შემცირებას, საპროექტო ორგანიზაციათა მუშაობის დონის ამაღლებას, აგრეთვე სამშენებლო საქმის სრულყოფასა და მისი ეფექტიანობის ამაღლებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალა სამშენებლო სამინისტროებს განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება მშენებლობაში სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ შრომის ნაყოფიერების გადიდების არსებული რეზერვების გამოყენებას, უწინარეს ყოვლისა მშენებლობებზე შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, მოცდენების შემცირების, პროგრესული სამშენებლო ტექნოლოგიის გამოყენებისა და სამშენებლო მექანიზმების უფრო ეფექტიანად გამოყენების გზით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმისა და მომდინარე წლის პირველი კვარტალის მიუღებლობის შესრულების შედეგები და აღნიშნა, რომ გეგმისა და მიუღებლობის ძირითადი დავალებანი შესრულებულია მნიშვნელოვანი გადაჭარბებით.

სამრეწველო წარმოების მოცულობა რესპუბლიკაში 1970 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 9,8 პროცენტით.

მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის დავალება. გადაჭარბებითაა რეალიზებული მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის სახელმწიფო გეგმა, საცალო საქონელბრუნვისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობის გეგმები.

გადაჭარბებითაა შესრულებული ბრუნვის გადასახადის, საწარმოთა და ორგანიზაციათა მოგების გადასახდელების, აგრეთვე მოსახლეობის გადასახადებისა და გამოსაღების გეგმები.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ აღნიშნა ზოგიერთი ნაკლი კაპიტალური მშენებლობის, მრეწველობის მთელ რიგ დარგებში საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების დარგში.

მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ სამინისტროებისა და უწყებებს, გაერთიანებებისა და საწარმოების მუშაობის გაუმჯობესებას. (საქდესი).

ერთსულოვნება, შეკავშირება

(დასასრული).

ვითარებაში. მან წამოაყენა წინადადება დეპუტატობის კანდიდატად დასასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნიკოლოზ პიძტრონა-ძე პოდგორნი.

ჩვენ კარგად ვიცით, თქვა მან, რა დიდმნიშვნელოვან და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ნ. ვ. პოდგორნი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის საპატიო პოსტზე.

ამ წინადადებას მხარი დაუჭირა დოცენტმა ნ. გეიშიანმა.

შემდეგ სიტყვა ეძლევა დოცენტ მ. გელაშვილს. მან თავის მხრივ შემოიტანა წინადადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასასახელონ ამ ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტი სამაზის მსოფლიო ჩემპიონი ჭიდრაკში ნონა ტერენტის ასული გაფრინდაშვილი.

წინადადებას — ნ. ტ. გაფრინდაშვილის დასახელების შესახებ მხარი დაუჭირა IV კურსის სტუდენტმა, ლენინურმა სტიპენდიატმა ა. დისამიძემ.

თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორთა, მასწავლებელთა და სტუდენტთა წინასაარჩევნო კრებამ ერთხმად დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის № 46 სტუდენტთა საარჩევნო ოლქში დასასახელონ ნ. ვ. პოდგორნი და ნ. ტ. გაფრინდაშვილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კოლექტიუის წინასაარჩევნო კრება გახსნა ინსტიტუტის პარტიული ბიუროს მდივანმა მ. სვანიძემ.

ინფორმაცია მოზაბალი არჩევნების შესახებ გააკეთა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ პროფესორმა ვ. ახვლედიანმა.

— ინსტიტუტის კოლექტივის სახელით, — თქვა მან შემდეგ, — წინადადება შემომაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის რუსთაველის № 34 საარჩევნო ოლქში დავასახელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი.

ყველამ ვიცით, რამდენ ძალ-ღონესა და ენერგიას ახმარს იგი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. მან წამოაყენა წინადადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევი.

ამ წინადადებას მსურველად დაუჭირა მხარი სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ბოროდაკამ. მან აგრეთვე წინადადება წამოაყენა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასასახელონ საწარმოს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი მეკოვე ბიორგი ნიკოლოზის-ძე კურტანიძე. მან თქვა, რომ ყველა კარგად იცნობს ამხ. კურტანიძეს. ეს არის საწარმოს მოწინავე მუშა, აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი, ადამიანი, რომელიც დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობს კოლექტივში.

ლ. ი. ბრეჟნევისა და გ. ნ. კურტანიძის კანდიდატურებს მხარი დაუჭირეს მეკოვემ გ. ფერაძემ და საწარმოს პარტიული კომიტეტის მდივანმა გ. ანჩაბაძემ.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად დაადგინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის № 1 ავჭალის საარჩევნო ოლქში დასასახელონ ლ. ი. ბრეჟნევი და გ. ნ. კურტანიძე. (საქდესი).

გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიას“ იუბილე

სოხუმი, 27 აპრილი. (საქდესი). 26 აპრილს სოხუმის ს. ჩანბას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიას“ 50 წლისთავისა და მის დაჯილდოებას „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ სოხუმის, აბკონომიური რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, გაზეთის მკითხველები, ჟურნალისტები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა მ. ყვარციამ.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. კობახიამ წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიას“ „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ. დამსწრეთა ტაშის გრიალში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელითა და დავალებით მან მიულოცა „სოვეტსკაია აბხაზიას“ რედაქციის კოლექტივს, მის შუა და სოფლის კორესპონდენტებს მოთავრობის მაღალი ჯილდო, და მიაბნია იგი გაზეთის დროშას.

ამხ. კობახიამ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმება გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიისადმი“ მის 50 წლისთავთან და „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებასთან დაკავშირებით.

მოხსენება „გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიას“ 50 წლისთავი“ გააკეთა მისმა რედაქტორმა ჯ. სიმონოვმა.

„სოვეტსკაია აბხაზიას“ კოლექტივს, მის შუა და სოფლის კორესპონდენტებს მიულოცეს: საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის და საქართველოს რესპუბლიკური გაზეთების სახელით — რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის წევრმა, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორმა შ. ყარყარაშვილმა, „ჩერნომორსკაია ზდრავნიცას“ (ქ. სოჭი) რედაქციის სახელით — ამ გაზეთის რედაქტორმა ი. მაქსიმოვმა, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის აჭარის განყოფილებისა და გაზეთების „საბჭოთა აჭარისა“ და „სოვეტსკაია აჯარიას“ სახელით — „სოვეტსკაია აჯარიას“ რედაქტორმა ვ. მარუაშიძემ, გაზეთ „ავტომობილისტი“ (ქ. პიატიგორსკი) სახელით — ამ გაზეთის რედოლეგიის წევრმა კ. მოგდანოვმა, საქართველოს ალკა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის სახელით — კომკავშირის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ქვაჩაბიამ, გაზეთ „სოვეტონ ირისტონის“ სახელით — ამ გაზეთის რედაქტორის მოადგილემ ბ. ბაგაევმა, გაზეთ „ნუთაისის“ და „კუტაისსკაია პრავდას“ და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ხარაიონთაშორისო განყოფილების სახელით — „კუტაისსკაია პრავდას“ რედაქტორმა ვ. ლალიაშვილმა, გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქციის სახელით — რედაქტორის მოადგილემ თ. ბილიგაშვილმა, სოჭის ტელევიზიისა და რადიოფიკაციის სახელით — სტუდიის განყოფილების რედაქტორმა ბ. ბულუჩავამ. იუბილარ გაზეთს გულთბილი მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს: საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებულმა მასწავლებელმა, „სოვეტსკაია აფხაზიას“ სოფლკორმა 1921 წლიდან ს. ამბანბამ, საქართველოს კომპარტიის გალის რაიკომის პროპაგანდის განყოფილების გამგემ ბ. ბრდაშვილიამ, ტუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის“ თავმჯდომარემ ხ. ბიბამ, გაზეთ „აბსნი ყაშის“ რედაქტორმა რ. ბუჯბამ, ჟურნალ „ეროკოდილის“ კორესპონდენტმა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ი. ბერსამიამ, გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქტორის მოადგილემ ჯ. მისაბიშვილმა, საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ჯოხაძემ, ბრიგადირ ძეძამ და სხვებმა.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ეროვნული ბალანსი

**ეროვნული ბალანსი — ეს ეროვნული შემოსავლის, ეროვნული სიმდიდრის, ეროვნული ეკონომიკის ფონდების, ეროვნული ეკონომიკის ფასეულობათა ბალანსია. ეროვნული ბალანსი ასახავს ეროვნული ეკონომიკის ფონდებს, ეროვნული ეკონომიკის ფასეულობათა ბალანსს, ეროვნული ეკონომიკის ფასეულობათა ბალანსს, ეროვნული ეკონომიკის ფასეულობათა ბალანს

დღეს თბილისში გაიხსნება საქართველოს საბჭოთა მწერლების VII ყრილობა

თანამედროვეობის მხარდამჭერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველ მწერალთა სტუმრები

მეგობართა სიტყვა

ნიკოლოზ ტიხონოვი,

რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

● როცა აქეთ მოვფრინავდი, ჩემს წარმოდგენაში საქართველო ისეთივე იყო, როგორიც არაერთხელ მინახავს გაზეთებულზე თქვენთან ყოფნის დროს — აყვავებული, მშვენიერი. მე მიყვარს იგი ყველაფრისათვის: სიკეთისათვის, ხელგაშლილობისათვის, პოეტური შთაგონებისა და სიბრძნისათვის.

პირველად მახსოვს 1924 წელს ჩამოვედი თბილისში. მოედანზე აქლემების ქარავანი მიიზლაზნებოდა... მე გამოცა აქაურმა ეგზოტიკამ და კოლორიტმა. მერე მრავალგზის მოშიხდა თქვენთან სტუმრობა. ბევრი მეგობარი შევიძინე ამ ბნის მამილზე. ბევრი ლექსი დავწერე საქართველოზე, სხვანაირად არ შეიძლებოდა! თქვენმა ქვეყანამ შთაგონა და გამამდიდრა ჩემი შემოქმედება.

დღეს ქართველი მწერლების VII ყრილობაზე არ შეიძლებოდა არ ჩამოვსულიყავი, ალბათ იმიტომ, რომ ეს ჩემი მეგობრების, ჩემი თანამოკალმეების თავყრილობაა. უთუოდ საინტერესოდ წარიმართება იგი. მიკვირსალმები ქართველ მწერალთა ამ დიდ ფორუმს, ვუსურვებ ჩემს ქართველ კოლეგებს ახალ შემოქმედებითს წარმატებებს.

კონსტანტინე სიმონოვი

● არაერთხელ ვყოფილვარ საქართველოში და მაინც ყოველთვის სიხარულით მოვხუწრავები თქვენკენ.

ქართველი მწერლების VII ყრილობის მუშაობაში დიდი სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას და, რაც მთავარია, ვუსურვებ ჩემს კოლეგებს მაღალ დონეზე, შემოქმედებითი კამათის, ახლის ძიების ვითარებაში წარიმართოთ მწერალთა ფორუმი, რომელიც უთუოდ სასარგებლო იქნება ყველასათვის.

ყოველ ზაფხულს გულრიფში ვატარებ. აქ დავწერე ჩემი ბოლო ნაწარმოები „უკანასკნელი ზაფხული", რომელსაც ქართული მიწის სურნელება ექნება. წინასწარ გილოცავთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის ზეიმს. ვუსურვებ თქვენს ქვეყანას წინსვლასა და გამარჯვებას.

●

საქართველოს მწერალთა ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ მხატვრული სიტყვის ოსტატები მოსკოვიდან და მოკავშირე რესპუბლიკებიდან. სურათზე: გამოჩენილი რუსი მწერლები ნიკოლოზ ტიხონოვი და კონსტანტინე სიმონოვი თბილისში, სასტუმრო „ივერიასთან".

ფოტო ბ. ბინზბურგისა.

მწერალი—ცხოვრების მემატიანე

ფიქრები ყრილოგის წინ



სერგი ჯილაია

მწერალთა კავშირის მეშვიდე ყრილობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის საიუბილეო ზეიმის წინადღეებში იმართება. ეს შეტად სიმბოლურია, იმიტომ რომ თვით ქართული საბჭოთა მწერლობაც 50 წლისაა. სიმბოლურია ის მხრივაც, რომ ქართულმა საბჭოთა მწერლობამ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების, ჩვენი ადამიანების აღზრდის საქმეში უდიდესი როლი შეასრულა. ის საუკეთესო ნაწარმოებები, რომლებიც ამ ორმოდენათი წლის განმავლობაში დაბეჭდა, ჩვენმა სოციალისტურმა საქართველომ, საბჭოთა სინამდვილემ შექმნა, ისინი, თავის მხრივ, უდიდეს ფაქტორებად იქცნენ ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. ამ აზრით ჩვენი ანგარიში არა მარტო ხუთი წლის მუშაობის ანგარიში იქნება ამ ყრილობაზე, არამედ ქართული საბჭოთა მწერლობის ანგარიშიც ქართველი ხალხის წინაშე.

ჩვენი ყრილობის მეორე დიდი მნიშვნელობა ისაა შდგომარეობს, რომ ის ტარდება მაშინ, როცა ჩვენი ხალხი შეუდგა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების განხორციელებას. ყრილობის ისტორიული დოკუმენტები კვლავ გაჩდება ახალი შთაგონების წყაროთ ქართული მწერლების შემოქმედებითს მუშაობაში.

ეჭვი არ არის, რომ ქართველი მწერლები ყველაფერს გააკეთებენ ჩვენი დროის, ჩვენი ცხოვრების, ჩვენი გმირული რომანტიკის შემოქმედებითი ასახვისათვის.

მაყვალა ჭრელაშვილი

ასპა მწერალთა ყოველი ყრილობის წინ. ერთხელ კიდევ გადმოვლეშენ თვალს განვლილ პერიოდს, ისსენებენ წარმატებებს, მარცხს, დავობენ, კამათობენ.

განვლილი პერიოდი ნაყოფიერი იყო ქართული მწერლობის და განსაკუთრებით საბავშვო მწერლობის განვითარებისათვის. არა ერთი და ორი კარგი წიგნით გაიხარეს ჩვენმა პატარებმა. ბევრი ახალგაზრდა ნიჭიერი ავტორი გამოჩნდა. და შეიყვარა მკითხველმა.

ყოველ მწერალს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს მკითხველის თანაგრძნობა და სიყვარული. მე ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი ახლახან გამოცემული ლექსთა კრებულები „ჭანგიელილა", „ყოჩი ოტო", „ვისია ზიზია", „ბიჭი ბიჭანგური" ჩემს საყვარელ პატარებს მოეწონებათ.

გამახარეს უკრაინელმა პოეტებმა. მათ უკრაინულ ენაზე გამოსცეს ჩემი ლექსების თარგმანები. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ უკვე დაგამთავრე და გამოვეცი შარლ დე კოსტერის „ულენშპიგელის ლეგენდის" თარგმანი.

მინდა, რომ ყოველ საბავშვო ნაწარმოებში იგრძნობოდეს ეპოქის სუნთქვა, ყურადღება ექცეოდეს ჩვენი თანამედროვე ცხოვრების დამახასიათებელ საკითხებს.

პოლიკარპე კაკაბაძე

ქართულ თეატრს არასოდეს არა ჰქონია ისეთი მაღალმხატვრული ღირებულების დრამატურგიული მასალა, როგორიც დღეს აქვს. ქართული დრამატურგიით დაინტერესდნენ მოძმე რესპუბლიკების თეატრები. სასიხარულოა, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ ზზრად იდგმება ჩვენი დრამატურგების პიესები.

როგორც ყრილობის ეფლგატი — დრამატურგი, ვიმედოვნებ, რომ მწერალთა VII ყრილობა გახდა საკუთრებელ ყურადღებას დაუთმობს ქართული თეატრისა და ქართული დრამატურგიის დამოკიდებულებას. ჩვენმა თეატრებმა ამ ბოლო დროს რატომღაც შეასუსტეს კონტაქტი პროფესიონალ-დრამატურგებთან. დამკვიდრდა მოთხრობების „გადმოკეთების", მათი ინსცენირების ტრადიცია. ქართულ ორიგინალურ პიესებს არ აქცევენ ჯეროვანი ყურადღება.

რაც შეეხება პირადად ჩემს შემოქმედებას, მინდა გაზეთის მკითხველებს ვეუბნები: ცნობილმა მთარგმნელმა ა. პეტროვამ ინგლისურ ენაზე თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა ჩემი პიესების „ალბატროსის ხმალი", „ქარიშხალი", „ბაგრატ V" და „სამი ასული".

რა შეიძლება ვისურვოთ ქართველ მწერალთა ყრილობის წინ? აუცილებელია ყრილობის მეტი კონტაქტი დამყარდეს ქართულ თეატრსა და პროფესიონალ დრამატურგებს შორის, ეს ჩვენი თეატრების წარმატების უტყუარი საწინდარი იქნება.

ნოდარ დუმბაძე

თაბაანი ყრილობაზე ქართველი მწერლები შემოქმედებითი ანგარიშით წარსდგებიან მკითხველების წინაშე და, ალბათ, იმ განხილვათან ერთად ახალ კარგ რომანებს, მოთხრობებს, ლექსებს, პოემებსა და პიესებს შეპირდებიან ქართველ ხალხს. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ქართველი მწერლობა არ გაუმტყუნებს იმედებს თავის მკითხველს, რადგან წინა ყრილობიდან განსული ხუთი წელი, და განვ მხოლოდ ხუთი, საკმე იყო ქართველ მწერალთა შემოქმედებითი გამარჯვებებით, სიახლეებითა და ნიჭიერებით.

პირადად ჩემთვის, როგორც მწერლისათვის, ეს განვლილი წლები საინტერესო იყო შემოქმედების თვალსაზრისით.

მოგეხსენებათ, ამ ორი წლის წინათ მე გავლდით საზღვარზე და ორი თვის განმავლობაში ამსახურობდი მისაზღვრად, რათა შემეწავლა მესაზღვრეთა ცხოვრება.

შემდეგ, ამ შთაბეჭდილებების მიხედვით დავწერე ნაწარმოები „მე ვიშინა, ფედა", ახლა ეს ნაწარმოები იბეჭდება და ცალკე წიგნად გამოდის სასულიერო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში". იგი ინსცენირებულ და განხორციელებულ იქნა ბათუმის თეატრში. ახლა ამ ნაწარმოებს ედგამს კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი, ოდესის, მოსკოვის ორი თეატრი და ლენინგრადის თეატრი. პრემიერა ლენინგრადში 15 მაისისათვის არის განზრახული.

ამ რომანის მიხედვით მე და რეჟისორმა მერაბ კოკოჩაშვილმა დავწერეთ კინოსცენარი. ფილმს მერაბ კოკოჩაშვილი გადაიღებს.

მოდის მაისი, ჩვენი ქვეყანა მაისში ალნიშნავს საბჭოთა საქართველოს და რესპუბლიკის კომპარტიის 50 წლისთავს. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ქართველ ხალხს, ჩვენი ქვეყნის მშრომელებს, მივულოცო ეს დღესასწაული.

მორის ფოცხიშვილი

ხუთი წელი გავიდა მწერალთა კავშირის წინა ყრილობის შემდეგ. თუ რამდენად ნაყოფიერი იყო ეს წლები ჩემს შემოქმედებაში, მკითხველთა მეაცრი სამსჯავროს საქმეა. ჩემი აზრით კი ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ პერიოდში შეკრეფილი, მაინც ლექსთა კრებული „რწმენაა". ამას გარდა, ვ. ი. ლენინის საიუბილეოდ გამოიცა ჩემ მიერ შედგენილი და თარგმნილი კრებული „მსოფლიო პოეტები ლენინს".

1966 წელს გამოცემულ კრებულს „მსოფლიო პოეტები დედას" ორმოცდაათამდე ქვეყანა გამოეხმაურა, გვიგზავნიან ახალ ლექსებს. გადაწყდა მეორე, უფრო შევსებული გამოცემის მომზადება, რაზეც სიამოვნებით ვმუშაობ.

ვთარგმნე ჩუხი მწერლის ზდენეკ სლაბის სამაგვარ ზღაპარი „სამი წითელქუდა". ახლა ვმუშაობ ლიტველი პოეტის ე. მეიელიტისის, აგრეთვე რუსი, აფხაზი, უკრაინელი და სომეხი პოეტების ლექსთა თარგმნაზე.

მწერალთა კავშირის მეშვიდე ყრილობის წინ გამოიცა ჩემი სამაგვარი პოემა „ბარხარა და ხარული". გამომცემლობა „საკადულის" დაკვეთით ვწერ ფანტასტიკურ მოთხრობას, რომლის სათაური „ჩინო".

მინდა კალამი ვიკადო დრამატურგიაში. თითქმის ორი წელია ვმუშაობ თანამედროვეობის ამსახველ პიესაზე და, ვფიქრობ, წელს ჩავაბარებ გამოსაცემად.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო" დასტამბავს ჩემს ლექსთა კრებულს, რომელშიც შევა ადრე დაბეჭდილი და ახალი ლექსები.

ახალი ლექსები

კარლო კალაძე

1971 წლის გაზაფხული

მე ვარ ერთგული ამ წუთის, ამ წლის,
გაზაფხულს მე ამ იმედით ვხვდები, —
გუშინდელ დღეზე ფიქრს აღარ მაცლის
ცამი გუგუნით გაშლილი ფრთები!

ცისკარო ჩემო, ადრეა იქნებ
გულს ვარსკვლავეთით გასვლა ვახარო,
მაგრამ ღრუბლებში გზას როცა ვიგნებ —
ძირს უკეთ მოჩანს ცხრამთა, ცხრაწყარო...

დე ერქვას ამ წუთს ზამთარი, თოვდეს,
დე კვლავაც აჰყვეს მთის ბილიკს მგზავრი, —
სადღაც რომ ცისქვეშ არ განმარტოვდეს,
მილოცვად მე ამ სიმღერას ვგზავნი!

ისიც ხომ ჩემზე ფიქრობს ამ დილით,
სადღაც ჩემსავით ომახიანობს,
დარდი ჩაიგდო ფეხქვეშ ლანდივით,
ხალისით ხალისს რომ ეხმიანოს...

თუ მან მგლის მუხლით ქარბუქი ჩაკლა,
გზა თუ გუმანით აქვს მიკვალული, —
ჩემგან მეტადრე სწყურია ახლა
სიკეთე, სითბო და სიყვარული!

მინდა ქარბუქი მეც გავაძევო
და გაზაფხული თუ გამიგონებს:
— მზეო ამოდი, ამოდი მზეო! —
დღეს კიდევ ერთხელ გავძახებ გორებს...

ი ა ნ ე თ ი

ისევ მზე და ისევ წვიმა,
ისევ გაზაფხული!
მიწა, სველი მიწა
ზამთრით დაზაფრული!

მზე და წვიმა... გზებზე
ნაიღვრების ალყა,
გამოლმა და გაღმა
გაქცეული ტალღა! —
გუბის წყალიც ეძებს
ადიდებულ რიონს—
ცა საცაა მეხმა
უნდა გაარღვიოს!..

რკინიგზა და ხიდი
აქვე, სოფლის ახლო,
იანეთი ჩემი —
ჩემი სამოსახლო!

ყოველ გაზაფხულზე
ამ პატარა მინდორს,
გაუღვიძარს ისევ,
ისევ უამინდოს —
კვირადილით ხალხი
რად აკითხავს ასე,
და რა ფიქრი მიპქრის
უწყვეტ რკინიგზაზე?

იტყვი: არცა წვიმს და
იტყვი: არცა მზეა —
შეშრობილი ცრემლი
თვალის წამწამზეა...

ეს მინდორი მცირე,
ხელისგულის ტოლი,
მოგვგონებს, როგორ
გუგუნებდა დოლი

მაშინ, როცა ომში
ვაცილებდით ჩვენებს —
საქართველო მებრძოლ
დროშის დამამშვენებს...

ეს მინდორი ახლაც
მწვანეა და წმინდა
ისე, როგორც ხსოვნა
ომგადახდილ გმირთა!

გაზაფხული სწორედ
პირველ კვირტს აქ იურის, —
გაზაფხული ჩვენი
ლიმილის და ფიქრის!
მარტის თვეო, ცაში
ღრუბლებ მიმოშლილო,
მარტის თვეო, მიყვარს
შენი ლილო-ჭრილო!

ვიტყვი: არცა წვიმს და
ვიტყვი: არცა მზეა —
შეშრობილი ცრემლი
თვალის წამწამზეა.

როცა ჯუმბერ ხოლმე
ამ პატარა მინდორს —
მოვიგონებ იმ დღეს,
მოვიგონებ იმ ტოლს, —
შორს რომ გაჰყვა მედგარ
მატარებლის გუგუნს
და ბნელს შერჩა სადღაც,
ცეცხლით გადაბუგულს!

იანეთმა იცის
რაც მას უნდა ეოქვა,
იანეთში ისმის
მისი გულის ფეთქვა!

თბილისიდან მთა-მთა
გადმოსული ლიხით,
აჯამეთის ტყის და
მუხიანის იქით —
მეც იქა ვარ, სადაც
თვალს გაახელს ია —
ჩემს დედულეთს კვლავაც
იანეთი მქვია!

იანეთი რაა,
რკინიგზა და ხიდი! —
გულს ახარებს ქვეყნის
გაზაფხული დიდი,

და მე, ამდენ ახალ
აღტაცებას ამწერს —
მკლავებგაშლილ მინდა
მზეს აქ დავხვდე ამ წელს!
ყვავილდეს, ენატრობ —
მინდორი და მდელო —
სიყმაწვილის ფინთ
გატანილი ლელო!



ანდრო თევზაძე

დუმილი, ზღვა და სიცოცხლე

ლირიკული რვეულიდან

მთა უნდა დუმდეს,
ზღვა უნდა დუღდეს,
გული კი უნდა
დუდდეს და დუმდეს;
ფიქრები მუდამ
ტალღებად ფრენდეს
და არ ტოვებდეს
მშობლიურ ბუდეს.
მე გუშინ ზღვა ვნახე
ფიქრივით მდუმარი,

წყნარი, ვით ნიავი
ფოთლებში მოვლებარე,
თითქოს ყურს უგდებდა
სამყაროს დუმილს...
ვუცქირე, ვუცქირე
და ბოლოს ასე ვთქვი:
ზღვა ნამდვილ არ ვარგა
წყნარი და ჩუმი!
ის, რაც ჩუმია,
ის, რაც წყნარია,

ასე მგონია
თითქოს მკვდარია,
რაც ღელავს, იბრძვის,
ელავს თუ იწვის,
რისი ხმაც ქვეყნად
გრიგალად ისმის,
მხოლოდ ის არის,
მუდამ ის არის,
მარტოლის არის
სიცოცხლის ღირსი!..

□

□

უშთაგონებო ვრჩები მე იმ დღეს,
როცა ვერ ვხედავ შენს ხატოვნებას;
მარტო შენ გიმზერ, მარად შენ გიმღერ,
მხოლოდ შენ მაძლევ ზეშთაგონებას.
რისთვის მიკარგავ ამ ძვირფას წუთებს,
რომ არ მოდიხარ და თავს მანატრებ?
გამოჩნდი, ელვას დამასაკუთრე,
თავზე ცისკარი გადამანათე.
და მერე ნახე, როგორ ავანთებ
სულის ტაძარში ოქროს კელაპტრებს,

გადმოშუქდება ზეცის თაღანზე,
მის შარავანდედს ბევრი შეატრებს.
მაგრამ შორია გზები შენამდე,
თვალწინ მყავხარ და მაინც ვერ გწვდები,
შენ გავხარ მთებში მფრინავ შევარდენს,
მე კი მამძიმებს სიბერის წლები.
ვაი რა ვუთხრა ჩემ ბედის დამდებს,
რომ სატანჯველად მიმცა ქვეყანას,
რად გამაჩინა შენზე უადრეს,
ან შენი თავი რათ შემაყვარა?

მთავარი თემა—დღევანდელობა

სიტყვის მნათობი

ელგუჯა მაღრაძე,

ჟურნალ „მნათობის" მთავარი რედაქტორი.

□

საბჭოების დიდი ქვეყნის მწერლებთან ერთად მხატვრული სიტყვის ქართველი ოსტატებიც ავითარებენ მოწინავე მხატვრულ ეროვნულ ტრადიციებს და ამით თავიანთი წვლილი შეაქვთ მომზე ერების კულტურათა ურთიერთკავშირის განმტკიცებაში.

ქართველ მწერალთა მე-7 ყრილობის ღირსეულად შეხვედრა ნიშნავს ეამრავლოთ მოპოვებული წარმატებანი, და ამით დავეხმაროთ პარტიასა და მთავრობას მშრომელი მოსახლეობის იდეურად წრთობის საქმეში.

ქართული პროზის, პოეზიისა და დრამატურგიის უფრო სი თაობის წარმომადგენლებმა არაერთი კარი ნაწარმოებით გაამდიდრეს ეროვნული მწერლობის საგანძური. რთულ შემოქმედებით ძიებას ახალგაზრდა პოეტებისა და პროზაიკოსების მუშაობაშიც მოუჩანს კეთილი საწყისები, ქართველი მკითხველი კარგა ხანია გრძნობს და ხედავს მათ მიერ ახალი თვალით, რადაც თავისებური, ახალი შეგრძნებითა და განცდით დანახული ცხოვრებას. ჟურნალ „მნათობის" კარი ფართოდ არის ღია ქართველ მწერალთა ყველა თაობის წარმომადგენლებისათვის, ყველა იმათთვის, ვინც სულიერ განწყობილებათა და სულიერი მოთხოვნილებათა გამოსახატავად მართლაც გაბედულად დაიწყო შემოქმედებითი ძიება.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ოცდამეოთხე ყრილობაზე აღინიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში ქართულ მწერლობას გარკვეული წარმატებები აქვს. ქართველი მწერლების ამ წარმატებებში ერთგვარი წვლილი ჟურნალ „მნათობის" შემოქმედებით კოლექტივსაც მიუძღვის. ჩვენი ჟურნალი სისტემატურად აქვეყნებდა მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ მასალებს: ლექსებს, წერილებს, პროზაულ ნაწარმოებებს და მოგონებებს. ვბეჭდავდით და კელავაც ვბეჭდავთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ მასალებს. ჟურნალში გამოქვეყნდა ისეთი თვალსაჩინო ნაწარმოებები, როგორიც არის პ. კაკაბაძის რევოლუციური პიესა „ზაზაგარედინი", გრ. ჩიქოვანის რომანი „თებერვალი დადგა", რ. ჯაფარიძის მხატვრული ეპოპეის „ანბის კვირის" დასაწყისი, ო. ჭელიძის პოემა „ამირანიმთა" ვ. კანდელაკის პიესა „დრო ოცდათხი საათი", დ. კვიციარიძის რომანი „მშვიდობით უსიერო ტყეებო" და ზოგიერთი სხვა ნაწარმოები.

მინდა, როგორც ჟურნალის რედაქტორმა გაზეთ „კომუნისტის" მკითხველებს მოვახსენო — ჩვენი რედაქცია შეიცდება, რომ „მნათობი" მოამაგალმიც ქართული მწერლობის ფენომენი იყოს.

ოლარ ლეონიძე

ალექსანდრე ჯორჯიაშვილი,

ჟურნალ „ლიტერატურული საქართველოს" მთავარი რედაქტორი.

□

ბევრი ავტორის ლექსი თუ მოთხრობა ითარგმნა რუსულად და ჩვენი რესპუბლიკის ქარიი ათასობით მკითხველმა წაიკითხა. ჩვენი ჟურნალი არის სწორედ ის კერა, სადაც ეროვნული ავტორსა და ინტერნაციონალურ ავტორებს ერთ ადგილზე ეკრიბებიან. ეს ნაწარმოებები თარგმნა, რომელიც ავტორსა და ინტერნაციონალ ავტორებს ერთ ადგილზე ეკრიბებიან. ეს ნაწარმოებები თარგმნა, რომელიც ავტორსა და ინტერნაციონალ ავტორებს ერთ ადგილზე ეკრიბებიან. ეს ნაწარმოებები თარგმნა, ...

საქართველოს ამბავ-ბარეში

„კომუნისტის“ ინტერვიუ

ნიკოლოზ ტომსკი თბილისში

საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიამ თბილისში გამართა პრეზიდიუმის მორიგი გამსვლელი სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ქვეყნის სახვითი ხელოვნების გამორჩეულმა წარმომადგენლებმა საბჭოთა კავშირის სახ. მხატვრო აკადემიის პრეზიდენტის, ბევრი ცნობილი ქანდაკების სოციალისტური შრომის გმირის ნიკოლოზ ვასილის-ძე ტომსკის მეთაურობით. გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა ზ. რცხილაძემ ნ. ტომსკის სთხოვა ეამბნა ჩვენი მკითხველებისათვის საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებათა შესახებ. აი მისი ნაამბობი.

— საქართველოში მუდამ სიხარულით მომეჩქარება, რადგან ეს არის მდიდარი არქიტექტურული წარსულის ქვეყანა.

მე როგორც მოქანდაკეს, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა მაინტერესებს სწორედ ეს სახეობა. ქართველმა მოქანდაკეებმა ბოლო დროს ბევრი შესანიშნავი ნაწარმოებით დაამშვენეს თავისი სამშობლო კუთხე. ამ მხრივ თქვენს მოქანდაკეებს არასახარბიელო პირობები აქვთ და ამას მხოლოდ მოხდენილი თქმისთვის არ ვამბობ. მხედველობაში მაქვს თქვენი ზღაპრული ბუნება, რომელიც დამატებით სირთულეს უქმნის არქიტექტორს, მშენებელს, მოქანდაკეს. მიუხედავად ამისა, ქართველი მოქანდაკეების ბევრი ნაშუშევარი დღეს შეიძლება უკვე ჩვენი ქვეყნის ხელოვნთსოთა რიცხვს მივაკუთვნონო.

ჩემს კოლეგებთან ერთად

საგაზაფხულო ეტიუდი. ფოტო ს. კილაძისა.

ახალი საპაერო ხაზები

4 მაისიდან შემოღებული იქნება ახალი საპაერო რეისი თბილისი-სტავროპოლი. ან-24 ყაინერი ივლის კვირამი სამჯერ — სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით.

პირველი ივნისიდან საპაერო „ხიდით“ სოხუმი დაუკავშირდება შორეული აღმოსავლეთის უდიდეს ცენტრს — ხაბაროვსკს (დაჯდომა ნოვოსიბირსკში, ბელიაბინსკსა და ჩიტაში). აფხაზეთის დედაქალაქი ახალი რეისებით დაუკავშირდება ვორონეჟს, ვოროშილოვგრადს, ვოლგოგრადს, ტალინსა და სვერდლოვსკს, ბათუმი კი ლენინგრადს (დაჯდომა კიევში), ხარკოვს (დაჯდომა როსტოვში).

პირველად გაიხსნება ქუთაისი-დონეცკის, ქუთაისი-ლენინგრადის (დაჯდომა კიევში), სოჭი-თბილისი-ალმა-ათის, თბილისი-რიგის (დაჯდომა დონეცკში) რეისები. გარდა ამისა, გადიდდება რეისების რიცხვი მოსკოვში, ლენინგრადსა და ნოვოსიბირსკში.

მგზავრთა მოხერხებული მგზავრობისათვის შემოღებულია ავიაბილეთების შინ მიტანა თვითმფრინავების გაფრენამდე ხუთი-ათი დღით ადრე წინასწარი შეკვეთით, გაიხსნება ახალი სალაროები, კერძოდ, სასტუმრო „საქართველოსა“ და ცენტრალურ აეროგაზალში. (საქდისი).

„სალხინო“— პოლონეთში

რუსთავი. (საკ. კორ.). პოლონეთში გაემგზავრა რუსთავის ვოკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლი „სალხინო“. ანსამბლი მიიწვია პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთმეგობრობის საზოგადოებამ.

პოლონეთში საბჭოთა კავშირის კულტურის დღეებთან დაკავშირებით „სალხინო“ კონცერტებს გამართავს ვარშავასა და კატოვიცეში.

ეოკალურ ანსამბლს ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ა. ერეკომაიშვილი, ბოლო ქორეოგრაფიულს — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რ. ჭოხონელიძე. საერთო სამხატვრო ხელმძღვანელია რ. მორჩილაძე.

ლიდი მოგება

აბაშა. (საკ. კორ.). ქალაქ აბაშის მცხოვრები ვ. რ. ლიპარტია სამპროცენტიანი სახელმწიფო სესხის ობლიგაციის იღბლიანი ბილეთის (№ 7, სერია 163.542) მფლობელი აღმოჩნდა—მას ხვდა დიდი მოგება — 5 ათასი მანეთი.

გამოიცა საიუბილეოდ

ახალი მარკები, კონვერტები...

საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავად, როგორც ყოველ დღესასწაულს შეჰფერის, გამოვიდა ლამაზად გაფორმებული საფოსტო კონვერტები, მარკები, მოსაწვევი ბარათები, ისინი ამ დღეებში გამოსცა სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს გამომცემლობამ.

კონვერტს ამშვენებს მხატვარ ი. მარტინოვის მიერ შესრულებული ბლაკატი. გვირგვინის წნულში ჩაწერილ ციფრ „ნი“-ის ფონზე აღბეჭდილია საქართველოს გიგანტურ ნაგებობათა და ხოფლის შეურნეობის მიღწევების სიმბოლური გამოსახულებანი, რომელთა თავზე ფრიალებს საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა. ციფრები „1921-1971“ აღნიშნავენ ხაიუბილეო თარიღს. დამბა ქართულ და რუსულ ენებზე წარწერია „საქართველოს სსრ“.

კონვერტის მარჯვენა კიდეზე საფოსტო მარკაა — საქართველოს სახელმწიფო ღერბის, ნამგალისა და ფოროს გამოსახულებით.

ყურადღებას იქცევს დიდი გემოვნებით გაფორმებული ილუსტრირებული ღია ბარათები, ლურჯ ფონზე ქართულ და რუსულ ენებზე ამოტვიფრული წარწერა „თბილისი“, მკითხველს აცნობს ჩვენი დედაქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს. ფოტოები ეკუთვნის გ. ტომინსა და ფ. სოლომონტინს.

ი თბილისის გული — ლენინის მოედანი. დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის მონუმენტური სკულპტურული ფიგურა დიდებულად მოჩანს ცის ფონზე.

ბარათის შიდა გვერდებზე დაბეჭდილია მეტროპოლიტენის სადგურ „დიდუბის“ ფოტოსურათი, აქვეა დედაქალაქის რკინიგზის სადგურის მოედნის ერთი ნაწილი, თბილისის მშვენება რუსთაველის პროსპექტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის ფოტოსურათები.

თვალს იტაცებს ქართული ორნამენტებით შემკული მეორე ღია ბარათი, რომლის ცენტრში მოთავსებულია თბილისის ლენინის მოედნის მოლიანი ხედის ფოტოსურათი. შიდა გვერდში გამოქვეყნებულია სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა სონონიმური გამოსახულება — ჯ00 არაგველის ობელისკის ერთი დეტალი და გმირთა დიდების უკვდავსაყოფად დანთებული მოგიზგიზე კოცონი.

შეოთხე გვერდზე თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილების ფოტოსურათებია — გრიბოედოვის საფლავი მთაწმინდაზე, ქალაქის ხედი უძველესი უბნიდან და ნარიყალის ციხე.

სურათზე: საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავად გამოცემული კონვერტი და ილუსტრირებული ღია ბარათები.

„საქართველოს კომუნისტი“ № 4

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიულ და პოლიტიკურ ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ მორიგი, მეოთხე ნომერი.

ნომერში დაბეჭდილია სტატიები და წერილები: მუშაობა — სკკპ XXIV ყრილობა: ლენინის გზით კომუნიზმისაკენ; საქართველოს სსრ უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებისათვის; ა. ჩამლეიშვილი — ლენინის საქმე უკვდავია; ნ. ქუბაქმ — დავიცვათ სოციალისტური საკუთრება დანაშაულებრივი ხელყოფისაგან.

ჟურნალში გამოქვეყნებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის და აგიტაციის განყოფილებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის თეზისები — „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წელი“.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებები — მოქმედებაში“, „პარტიული ცხოვრება“, „მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლებისათვის“, „კრიტიკა და ბიბლიოგრაფია“, „პარტიული ქრონიკა“.

ფელეტონისტის უბის წიგნაკიდან

პირველი მეცხლები

გაზაფხული წელს ნაადრევად დადგა აფხაზეთში— ჯერ კიდევ თებერვლის მეორე ნახევარში, მას „პირველი მერცხლებიც“ მოაყვანენ — ტურისტები და დამსვენებლები, რომლებიც საგანგებოდ ჩამოვიდნენ სამხრეთში.

მე, ჯერ კიდევ სტუმრების ნაკადებად ჩამოსვლამდე, ვესტუმრე ტურისტიკის და ექსკურსიების აფხაზეთის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს ხუტა პლატონის-ძე თუზიაიას და რამდენიმე კითხვით მიეზართე.

—ჩვენში უკვე ზაფხულივით თბილი დღეები დაიწყო. რა ზომებს მიიღებთ, დღეს რომ აფხაზეთის ტურისტულ ბაზაში მოულოდნელად მოხვევადნენ ტურისტები?

— მოულოდნელობა ჩვენს საქმეში ყველაზე ძნელი რამეა, ამიტომ ვცდილობთ მზად დავხვდეთ. ამ მოულოდნელობებს უმთავრესად ზოგიერთი წინდაუხედავი ტურისტი გვიქმნის ხოლმე, ძაღრამ ბოლოს და ბოლოს საკითხს მაინც მათ საკეთილდღეოდ ვაგვარებთ. ისე კი, რაც შეეხება თქვენს შეკითხვას სტუმრების მოულოდნელ „თავდასხმის“ შესახებ, ცოტა დაგვიანებულიც არის, ტურისტები კარგა ხანია გვეწვივნენ და ჩვენ ისინი სოხუმის, გაგრის, ახალი ათონისა და სხვა ტურბაზებში დავაბინავეთ.

— ბევრნი არიან?

— უფრო მეტი, ვიდრე ჩვენ ველარ ვუდგებოდთ, მაგრამ ამაზე ნაკლები, ჩვენ რომ ვისურვებდით...

— უფრო ზუსტად?

— ამჟამად ე. წ. საგაზაფხულო მოგზაურობაში ათას ხუთასამდე კაცია.

— კიდევ უფრო ზუსტად?

— 1800 კაცი. უფრო ზუსტად კი ძნელია თქვა. აი ახლა, მე და თქვენ რომ ვსაუბრობთ, სალი ჩამოდის და ჩამოდის...

— რამდენი ტურისტის მიღება შეუძლიათ ერთდროულად აფხაზეთის ტურბაზებს ხეზონის ყველაზე „ცხარე“ დღეებში?

— ჩვენი ტურისტული ბაზები ივნის-სექტემბერში ერთდროულად 3000 კაცს მოემსახურება. მაგრამ თუ იმათაც მივიღებთ მხედველობაში, ვინც აფხაზეთში ტურბაზის გარეთ ისვენებს, ასეთთა რიცხვი ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხვს ბევრად გადააჭარბებს. აი მაგალითიც: გასულ წელს სახელგანოქმული რიწის ტბაზე ოთხ-ოთხ ადამიანზე ერთ ოთახი მოდიოდა. ეს ასეთ ფაქტებს ეხება, ოთახებში ადგილი ბევრ ადამიანზე ნაკლებ ადამიანზე ერეკებოდა, ეს ფაქტი ადასტურებს